

საქართველოს

რეპუბლიკა



შანი 3 მან. საგზაგაბითი, ავვისსონ 17 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამკლავო გაცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიბრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-82

საქართველოს მუშაუების უნობისთვის.

საჭიროა:

- 1. 200 წვეილი ფანჯრის ანჯამა, 100 წვეილი იგივე ფანჯრის ზევითა ნაწილისათვის, 100 წვეილი ფანჯრის ზევითა ნაწილის საკეტი, 100 წვეილი კარის ანჯამა, 50 წვეილი შეკრილი ანჯამა. 50 წვეილი კარის სახელური, 40 წვეილი კარის საკეტი, 70 წვეილი ფანჯრის საკეტი. 100 წვეილი ფანჯრის უკანა ჩანგლები. 30 წვეილი სავეტილია ციო ზევი.

განცხადება.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებისათვის საჭირო არის მოხარული ზეთი (ოლოფა) 1000 ფუთამდე.

შეანილი იქნება ნაღ ანგარიშგად.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სამასლო ნაწილში დღის 8-2 საათამდე, ნიმუშების წარმოდგენით. 2282 3-1

დეკრეტი

შინა დასახლებულთათვის ხეხის სახე დასახარებლად 36.300 000 მან. გადადებისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებისათვის ოცდა თექვსმეტი მილიონი სამასი ათასი (36.300.000) მანეთი შინა დასახლებულთათვის უპროცენტო სესხის სახედ დასახარებლად. 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული სესხის გადახდის წესის შემუშავება დავალდოს მთავრობას. 3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

დეკრეტი

რეგულიარი ჯარისა და სახალხო გვარდიის მხარეთათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენისა.

- 1. რეგულიარი ჯარისა და სახალხო გვარდიის სამხედრო მხარეთა და ყველა ნებით დაქირავებულთ მიეცეს ერთდროული დახმარება თანახმად ამა 1920 წლის ივნისის 15-ს დეკრეტისა. 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ოცდა ოთხი მილიონი ოთხას ოთხმოცდა რვა ათას ას ოცდა ოთხთემეტი (24.486.135) მანეთი. 3) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

ტფილისის კოლიტეხნიკური სასწავლებელი

იწვევს მომავალ სამოსწავლო წლიდან ფიზიკის მასწავლებელს. თხოვნები მოკლე Curriculum vitae-თ წარმოდგენილ უნდა იქნეს 1 სექტემბრამდე სასწავლებელში. პირობების გაცემა შეიძლება დირექტორთან. ტფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 70. 2279 1-1

დეკრეტი

დაჭრილ-დასახიჩრებულთა და დაზოცილ მეომართა ოჯახების უზრუნველყოფისათვის 5.000.000 მან. გადადებისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინ. სტრის განკარგულებისათვის ხუთი მილიონი (5.000.000) მანეთი დაჭრილ-დასახიჩრებულთა და დაზოცილ მეომართა ოჯახების უზრუნველყოფისათვის, თანახმად საქართველოს პარლამენტის 1919 წ. იანვრის 31-ს (კან. კრებ. 1919 წ. № 5 კან. 31) და დამფუძნებელი კრების 1919 წ. ივნისის 10 ს (კან. კრებ. 1919 წ. № 9 კან. 74) კანონებში აღნიშნული წესისა. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

დეკრეტი

ქ. ფოთში რადიო-სადგურისათვის შენობის ასაგებად 1.000.000 მან. გადადებისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ერთი მილიონი (1.000.000) მანეთი ქალ. ფოთში რადიო-სადგურისათვის შენობის ასაგებად. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

ოფიციალური განაცხადება.

დეკრეტი

ქალ. გორის თვითმმართველობისათვის 3 000.000 მან. ხეხის მიცემისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის სამი მილიონი (3.000.000) მანეთი ქალ. გორის თვითმმართველობისათვის ორი წლის ვადით სამხანგვარ (3 1/2) პროცენტის სესხის მისაცემად ქალაქის უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. გორის თვითმმართველობის მიერ დაწყებული 1921 წლის იანვრის 1-დან ერთი მილიონი და ხუთასი ათასი (1.500.000) მანეთისა და სარგებლის გადახდით ყოველ წლიურად. 3. ამ დეკრეტით ვაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. გორის თვითმმართველობის მთელი უძრავ-მოძრავი ქონებით და შემოსავლით. 4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10 ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

გარემო საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის სამი მილიონი (3000.000) მანეთი პოლონეთს გასამგზავრებელი მისიის საჭიროებისათვის.

- 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

დეკრეტი

ქალ. გუდაუთის თვითმმართველობისათვის 500 000 მან. ხეხის მიცემისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ხუთასი ათასი (500.000) მანეთი ქალ. გუდაუთის თვითმმართველობისათვის ორი წლის ვადით სამხანგვარ (3 1/2) პროცენტის სესხის მისაცემად. 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს ხაზინას ქ. გუდაუთის თვითმმართველობის მიერ დაწყებული 1921 წ. იანვრის 1-დან და ივლისის 1-ს ას ოცდა ხუთი ათასი (125.000) მანეთისა და სარგებლის გადახდით. 3. ამ დეკრეტით ვაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქ. გუდაუთის თვითმმართველობის ყველა უძრავ-მოძრავი ქონებით და შემოსავლით. 4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

დეკრეტი

ქალ. სოხუმის თვითმმართველობისათვის 4 000.000 მან. ხეხის მიცემისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისათვის ოთხი მილიონი (4.000.000) მანეთი ქალ. სოხუმის თვითმმართველობისათვის ორი წლის ვადით სამხანგვარ (3 1/2) პროცენტის სესხის მისაცემად. 2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული თანხა უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ხაზინას ქალ. სოხუმის თვითმმართველობის მიერ ყოველ-წლიურად დღიდან სესხის მიღებისა ვალისა და კუთვნილი სარგებლის თანასწორი ნაწილის გადახდით. 3. ამ დეკრეტით ვაცემული სესხი უზრუნველყოფილ იქნეს ქალ. სოხუმის თვითმმართველობისათვის არსებული საფუთო გადასახადის შემოსავლით. 4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

დეკრეტი

ვარციხის მამულში ჩამორთმეული ინვენტარის და ტფილისის გოგირდის აბანო ბის საფასურის ახანაზღაურებლად 2.172,409 მან. და 27 კ. გადადებისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებისათვის ორი მილიონი ას სამოცდა ოთხმეტი ათას ოთხას ცხრა (2.172,409) მან. 27 კაპ. შემდეგი დანაწილებით: 1) ცხრაას სამოცდა ერთი ათას შვიდას ოცდა ცამეტი (961,733) მანეთი 25 კაპ. მიწის აღქმისადრეს ძე ანანოვისათვის ვარციხის მამულში ჩამორთმეული ინვენტარისა და ღვინის საფასურის ასანაზღაურებლად და 2) ერთი მილიონი ორას ათი ათას ექვსას სამოცდა თექვსმეტი (1.210,766) მან. 02 კაპ. სახელმწიფოს ხელში გადასულ ტფილისის გოგირდის აბანოთა ყოფილ მესაკუთრების გასასტუმრებლად. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. აგვისტოს 10-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვვა. გავამკარი.

დეკრეტი

პოლონეთს გასამგზავრებელი მისიის საჭიროებისათვის 3 000.000 მან გადადებისა.

- 1. ვაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან





